

ნიმუშები

1. ჩაწერეთ ციფრებით რიცხვი, რომელიც შეიცავს 4 ასეულათასეულს, 3 ათეულათასეულს, 1 ათასეულს, 5 ათეულსა და 7 ერთეულს.

- (ა) 43157
- (ბ)\* 431057
- (გ) 431570
- (დ) 4003157


2. გაყოფის რომელ შემთხვევაშია ნაშთი ტოლი სამის?

- (ა)\* 18 გაყოფილი 5-ზე
- (ბ) 23 გაყოფილი 6-ზე
- (გ) 5 გაყოფილი 2-ზე
- (დ) 6 გაყოფილი 3-ზე


3. მოცემული ფიგურებიდან რომელია ოთხკუთხედი?




(ა)



(ბ)\*




(გ)



(დ)

4. რის ტოლია ნახაზზე მოცემული მართკუთხედის პერიმეტრი?

- (ა) 5 სმ-ის
- (ბ) 6 სმ-ის
- (გ) 8 სმ-ის
- (დ)\* 10 სმ-ის



5. ცხრილში მოცემულია საქართველოს დიდ მტაცებელ ფრინველთა ერთი ფრთის სიგრძე:

ფრინველი	ქორი	ქმრა	არწივი	შეპარღენი	სკაპი	პუ	ჭოტი
ფრთის სიგრძე	30 სმ	55 სმ	45 სმ	45 სმ	20 სმ	35 სმ	70 სმ

რომელი ფრინველის ფრთის სიგრძეა 70 სმ?

- (ა) ქორის
- (ბ) არწივის
- (გ) შევარდენის
- (დ)\* ჭოტის

6. რა რიცხვზე უნდა გავამრავლოთ 6, რომ მიღებული ნამრავლი 402-ის ტოლი იყოს?

- (ა)\* 67-ზე
- (ბ) 68-ზე
- (გ) 69-ზე
- (დ) 71-ზე

7. ზაზამ, გიამ და მერაბმა ერთად 60 წაბლი მოაგროვეს. ზაზამ მოაგროვა 15 წაბლით მეტი, ვიდრე მერაბმა და ამდენივეთი ნაკლები, ვიდრე გიამ. რამდენი წაბლი მოუგროვებია გიამ?

- (ა) 45
- (ბ) 40
- (გ)\* 35
- (დ) 30

VI კლასი

1) ცხრილში მოცემულია საქართველოს რამდენიმე მწვერვალის სიმაღლე (ზღვის დონიდან):

მწვერვალის დასახელება	სიმაღლე (მეტრებში)
თეთნულდი	4853
მეფის წყარო	2850
მყინვარწვერი	5047
უშბა	4695
ფსისი	3790
შავი კლდე	2850
შხარა	5068

ცხრილში მოცემულ მწვერვალებს შორის რამდენია თეთნულდზე დაბალი?

- ა) 5
- ბ) 4
- გ) 3
- დ) 2

2) კოლოფში წითელი, ლურჯი და ყვითელი ფანქრებია. ფანქრების  $\frac{1}{2}$  ნაწილი წითელია,  $\frac{1}{4}$  ნაწილი - ლურჯი, ხოლო ყვითელია 3 ფანქარი. სულ რამდენი ფანქარია კოლოფში?

ა)  $3\frac{3}{4}$

ბ) 6

გ) 8

დ) 12

3) თუ 1 კგ კანფეტი 5,8 ლარი ღირს, მაშინ 600 გ კანფეტი ეღირება:

ა) 3 ლარი 48 თეთრი

ბ) 3 ლარი 60 თეთრი

გ) 2 ლარი 80 თეთრი

დ) 2 ლარი 96 თეთრი

4) 6 სთ 15 წთ ტოლია:

ა) 6,15 სთ-ის

ბ) 6,20 სთ-ის

გ) 6,25 სთ-ის


დ) 6,30 სთ-ის

5) შემდეგ წინადადებათაგან რომელია მცდარი?

- ა) კვადრატი შეიძლება დავყოთ ორ კვადრატად;
- ბ) მართკუთხედი შეიძლება დავყოთ ორ მართკუთხედად;
- გ) ზოგიერთი მართკუთხედი შეიძლება დავყოთ ორ კვადრატად;
- დ) კვადრატი შეიძლება დავყოთ ორ მართკუთხედად.

6)

ერთი წრეწირის  $OK$  რადიუსის სიგრძეა 26 დმ, ხოლო მეორე წრეწირის  $ME$  რადიუსისა - 14 დმ. მათი ცენტრების შემაერთებელი მონაკვეთი ამ წრეწირებს კვეთს  $A$  და  $B$  წერტილებში. რისი ტოლია წრეწირების ცენტრებს შორის მანძილი, თუ  $AB$  მონაკვეთის სიგრძეა 12 დმ?



- ა) 40 დმ
- ბ) 44 დმ
- გ) 48 დმ
- დ) 52 დმ

7) ბაღში ოთხი ხეა: აკაცია, ცაცხვი, ბზა და ევკალიპტი. აკაცია უფრო ადრე ყვავილობს, ვიდრე - ცაცხვი. ევკალიპტი ყვავილობს უფრო ადრე, ვიდრე აკაცია, მაგრამ უფრო გვიან, ვიდრე - ბზა. ამ ხეებიდან რომელი ყვავილობს ყველაზე გვიან?

ა) აკაცია

ბ) ცაცხვი

გ) ბზა

დ) ევკალიპტი

პასუხები:

1) b	2) d	3) a	4) g	5) a	6) d	7) b
------	------	------	------	------	------	------

## VIII კლასი

1.  $60 \text{ სმ}^3 =$

ა)  $6 \cdot 10^{-2} \text{ მ}^3$

ბ)  $6 \cdot 10^{-1} \text{ მ}^3$

გ)  $6 \cdot 10^{-3} \text{ მ}^3$

დ)  $6 \cdot 10^{-5} \text{ მ}^3$

2. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია უმცირესი?

ა)  $\frac{1}{2}$

ბ)  $\frac{\sqrt{3}}{\sqrt{2}}$

გ)  $\sqrt{3} - \sqrt{2}$

დ)  $\frac{1}{\sqrt{3}} + \frac{1}{\sqrt{2}}$



## IX კლასი

1. იპოვეთ  $k$ -პარამეტრის იმ მნიშვნელობათა სიმრავლე, რომელთათვისაც  $y = 2 - x^2$  და  $y = kx + 3$  ფუნქციების გრაფიკებს არ აქვთ საერთო წერტილი.

- ა)  $(-\infty; 2)$
- ბ)  $(-2; 2)$
- გ)  $(2; +\infty)$
- დ)  $[-3; 3]$

2. მართკუთხა სამკუთხედის გვერდები ქმნიან არითმეტიკულ პროგრესიას, რომლის სხვაობაა 5. იპოვეთ სამკუთხედის ჰიპოტენუსა.

- ა) 10
- ბ) 15
- გ) 20
- დ) 25

## X კლასი

1. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია უდიდესი?


ა)  $\cos \frac{\pi}{7}$

ბ)  $\cos \frac{5\pi}{4}$

გ)  $\sin \frac{3\pi}{7}$

დ)  $\sin \frac{\pi}{4}$

2. სურათზე გამუქებული  $AOB$  სამკუთხედი შემოსაზღვრულია  $y=kx+5$  წრფით და საკოორდინატო ღერძებით. იპოვეთ  $k$  კოეფიციენტი, თუ  $AOB$  სამკუთხედის ფართობი 10 -ის ტოლია.



ა)  $\frac{1}{2}$

ბ)  $\frac{5}{4}$

გ) 2


დ) 4

## XI კლასი

1. რის ტოლია  $y = \sin^3 x \cdot \cos x + \cos^3 x \cdot \sin x$  ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა?

- ა) 0
- ბ) 1
- გ) 1/2
- დ) 2

2. გამოსახეთ  $\overrightarrow{BO}$  ვექტორი  $\overrightarrow{AB} = \vec{a}$  და  $\overrightarrow{AC} = \vec{b}$  ვექტორების საშუალებით, თუ  $O$  წერტილი  $ABC$  სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილია.



ა)  $\frac{\vec{a} + \vec{b}}{3}$

ბ)  $\frac{2(\vec{a} - \vec{b})}{3}$

გ)  $\frac{2\vec{a} + \vec{b}}{3}$

დ)  $\frac{\vec{b} - 2\vec{a}}{3}$